



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მარტი
(ნისანი)
№3 (476)
(5781)
2021

“מנורה”
עיתון יהודי
בגוריה

გილოცავთ ფესხს
- თავისუფლების
დღესასწაულის, ძრავის
დღესწაობით!



ეაე კონგრესის გენერალური ასამბლეა

22 მარტს გაიმართა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური ასამბლეა. ეაე კონგრესის ხელმძღვანელობამ კორონაპანდემიის გამო, ონლაინ ე.წ. ზუმერით გაიმართა გენერალური ასამბლეა, რომელზეც კონგრესის გამგეობის წევრებთან ერთად განიხილეს სადღეისო საკითხები.

ეაე კონგრესის პრეზიდენტმა მიხეილ მირილაშვილმა წარმოსთქვა რა შესავალი სიტყვა, ფესახის დამდეგი დღესასწაული მიულოცა კონგრესის წევრი ქვეყნების (ევროპისა და აზიის 26 სახელმწიფოს) ებრაელობას. უსურვა მათ ჯანმრთელობა, მშვიდობიანი ყოფა და წარმატებები — ამ რთული პერიოდის მშვიდობიანი გადატანა. შემდეგ ყურადღება გაამახვილა კონგრესის საჭიროებებზე, აღნიშნა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტების ღვაწლი წარმატებულ საქმიანობაში.



ეაე კონგრესის გენერალურმა დირექტორმა ხაიმ ბენ იაკობმა ისაუბრა ისრაელის საპარლამენტო არჩევნებზე, რომელიც გენასამბლეის მომდევნო დღეს იმართებოდა — ბოლო ორი წლის განმავლობაში უკვე მეოთხედ და გამოთქვა რწმენა, რომ არჩევნები ნაყოფიერი იქნება და ისრაელში ჩამოყალიბდება სტაბილური მთავრობა. ხაიმ ბენ იაკობმა ყურადღება გაამახვილა კონგრესში შემავალი სახელმწიფოების ებრაელობის მდგომარეობაზე, დაწვრილებით მიმოიხილა თუ რაგვარ პირობებში უხდებათ ცხოვრება, თუ როგორია ანტისემიტის დონე და ა.შ. მის. მირილაშვილმა ისაუბრა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის გენერალურ ასამბლეაზე. აღნიშნა, რომ ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე კენჭს იყრის მოლდოვას წარმომადგენელი ალ. ბელინკისი და იმათ, ვისაც აქვთ უფლება ხმის მიცემისა, სთხოვა მხარი დაუჭირონ ამ კანდიდატურას.

კამათში მონაწილეობდნენ ეაე კონგრესის ვიცეპრეზიდენტები დ.იაკობაშვილი (საფრანგეთი), ბ.ნოჟკინი (უკრაინა), ალ. ბელინკისი (მოლდოვა), გამგეობის წევრი ვლადიმერ კრიტსმანი (ყირგიზეთი) და სხვ.

ეაე კონგრესის გენერალურმა დირექტორმა ხაიმ ბენ იაკობმა ისაუბრა ისრაელის საპარლამენტო არჩევნებზე, რომელიც გენასამბლეის მომდევნო დღეს იმართებოდა — ბოლო ორი წლის განმავლობაში უკვე მეოთხედ და გამოთქვა რწმენა, რომ არჩევნები ნაყოფიერი იქნება და ისრაელში ჩამოყალიბდება სტაბილური მთავრობა. ხაიმ ბენ იაკობმა ყურადღება გაამახვილა კონგრესში შემავალი სახელმწიფოების ებრაელობის მდგომარეობაზე, დაწვრილებით მიმოიხილა თუ რაგვარ პირობებში უხდებათ ცხოვრება, თუ როგორია ანტისემიტის დონე და ა.შ. მის. მირილაშვილმა ისაუბრა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის გენერალურ ასამბლეაზე. აღნიშნა, რომ ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე კენჭს იყრის მოლდოვას წარმომადგენელი ალ. ბელინკისი და იმათ, ვისაც აქვთ უფლება ხმის მიცემისა, სთხოვა მხარი დაუჭირონ ამ კანდიდატურას.

ისრაელის საელჩო გვატყობინებს:

ისრაელის ელჩმა, რან გიდორმა საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს ისრაელისგან საჩუქრად საველე ჰოსპიტალისთვის განკუთვნილი ტენტი გადასცა. ეს არის MASHAV-ის (ისრაელის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო) მორიგი აქტივობა Covid-19 თან ბრძოლაში საქართველოს დასახმარებლად, რომელსაც წინ უძღვოდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის (NCDC) და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების (GRCS) მხარდაჭერა.



2.




საქართველოს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის, საქართველოში ისრაელის საელჩოსა და MASHAV-ის მხარდაჭერით, საველე ლონისძიებისთვის კარავი გადაეცა.

სხვადასხვა სახის საველე სამედიცინო პირობებში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პუნქტის მოწყობა და ნებისმიერი სიმძიმის პაციენტის მომსახურება იქნება შესაძლებელი.

საველე კარავში შესაძლებელი იქნება, როგორც კოვიდ ინფექციური საექვო პაციენტებისთვის ნაცხით აღება-მოდიფიკაცია, ასევე პაციენტების იზოლირებული მართვა.

ე ბ რ ა უ ლ ს ა მ ყ ა რ ო უ ი

რატომ არ რეპაზს ბაიდეში?



4 თებერვალს საიტი ნეტ აცხადებს: უკვე ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ჯო ბაიდენის პრეზიდენტად კურთხევის ცერემონიალი ჩატარდა, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ დაურეკავს ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბინიამინ ნეთანიანუსთან, მაშინ როცა, აშშ წინა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ისრაელის პრემიერ-მინისტრთან სატელეფონო საუბარი საპრეზიდენტო მოვალეობის შესრულების დანებიდან მესამე დღესვე გამართა. და ეს მაშინ, როდესაც აშშ პრეზიდენტს უკვე ჰქონდა სატელეფონო საუბარი სამხრეთ კორეის, ავსტრალიის, კანადის, რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ ლიდერებთან. ისრაელში არ გამოიჩინებენ, რომ აშშ პრეზიდენტი საგანგებოდ აჭიანურებს ბ. ნეთანიანუსთან დარეკვას: ისრაელში მალე არჩევნებია და ჩემი მასთან დარეკვა, შესაძლოა, გაგებულ იქნას, როგორც ნეთანიანუსადმი მხარდაჭერაო

ბაიდემა დარეკა



ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიანუს ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების პოლიტიკურ ლიდერთა შორის გახლავთ პირველი, რომელთანაც აშშ პრეზიდენტმა ჯო ბაიდემ 17 თებერვალს სატელეფონო საუბარი გამართა. პრეზიდენტისა და ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბინიამინ ნეთანიანუს სატელეფონო დიალოგი თითქმის ერთი საათი გაგრძელდა. პრემიერის კანცელარიამ განაცხადა, რომ საუბარმა ერთობ თბილ და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. ამ ორმა ლიდერმა აღნიშნეს, თანხანა დიდი ხნის ნაცნობობა და შეთანხმდნენ, რომ ერთობლივად იმუშავენ ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობის გასაღრმავებლად.

ქმესეთის 24-ე არჩევნები

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ გასული წლის დასასრულს ისრაელის ქმესეთი დაიშალა. დაინიშნა ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში მეოთხე საპარლამენტო არჩევნები, რომელიც 23 მარტს გაიმართა. ბინიამინ ნეთანიანუს მემარჯვენე პარტია, ამჯერადაც ლიდერი აღმოჩნდა — 24 მარტის დილის 12 საათისათვის, როცა დათვლილი გახლდათ საარჩევნო ბიულეტენების 88% ლიკუდმა ქმესეთში 30 მანდატი მიიღო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მემარჯვენეები, თუ კოალიციის შექმნიან, და ცხადია, უნდა შექმნან, საერთო ჯამში 59 მანდატს აგროვებენ. მანდატთა ეს რაოდენობა კი სამთავრობო კაბინეტის ჩამოსაყალიბებლად საკმარისი არ არის — საჭიროა 61 მანდატი მაინც. „ემ ათიდმა“ მიიღო 17 მანდატი, რელიგიურმა „შასსმა“ 10, „კახოლ-ლავანმა“ — 8, „იიაადუთ ჰა თორამ“ — 7, „ავოდამ“ — 7, „იამინამ“ — 7, „ისრაელი ჩვენი სახლია“ — 7, „რელიგიურმა სიონიზმმა“ — 6, „გაერთიანებულმა სიამ“ — 6, „თიკვა ხადამამ“ — 6, „მერეცმა“ — 5, „რაამ“ — 5. 24 მარტის საღამოსათვის კიდევ არ გახლდათ გარკვეული, თუ ვინ შექმნის სამთავრობო კაბინეტს: მემარჯვენე პარტიები, თუ მემარცხენეები? ისრაელის მთავრობის შექმნის საკითხს, რაოდენ პარადოქსალურიც არ უნდა იყოს, გადაწყვეტს ის, თუ ვის მხარეს დადგება ხელმანდატიანი არაბული პარტია „რაამ“-ი. მას არა აქვს მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური პროფილი: მისი ლიდერი მანსურ აბასი აცხადებს, იმ ბლოკის კოალიციაში შევალ, რომელიც ჩემს ამომრჩეველს მეტს მისცემსო.



ინყება პარტიათა შორის ვაჭრობა, რომელსაც კონსულტაციებს ეძახიან. რასაკვირველია, ორი წლის განმავლობაში მეოთხე არჩევნები გახლავთ დასტური არსებული პოლიტიკური კრიზისისა, მაგრამ სამწუხაროა, რასაც სპეციალისტები ამბობენ: კრიზისს ვერც ეს არჩევნები გადაჭრის, შესაძლოა, მალე მეხუთე არჩევნებიც ჩატარდესო.

გამორჩეული

საყოველთაოდაა ცნობილია მეორე მსოფლიო ომის წლებში ფაშისტი გერმანელები, თუ როგორ ექცოდნენ ებრაელებს — დახვრეტა, ჩამოხრჩობა ყოველდღიურად გახლდათ: რომელ ქვეყანაშიც შევიდოდნენ, რომელ სახელმწიფოსაც დაპყრობილად მიიჩნევდნენ, ქვეყნის მეთაურებს უბრძანებდნენ, თავი მოეყარათ მოსახლეობის ებრაული ნაწილისათვის. მერე მათი გზა ჯერ საკონცენტრაციო ბანაკებისაკენ მიდიოდა, მერე კი, გაზით გაუდვა, დახვრეტა, ჩამოხრჩობა და

ა.შ.ევროპის ბევრმა ქვეყანამ გაიმეტა თავთავიანთი ქვეყნის ებრაელები, ან ადამიანები, რომლებსაც წინაპრებს შორის ებრაელიც ჰყავდათ.

მაგრამ ევროპაში აღმოჩნდა ხუთი სახელმწიფო, რომლებმაც ამ ქვეყნების მოქალაქე ებრაელები სასიკვდილოდ არ გაიმეტეს. ესენია:

ბულგარეთი

ამ ქვეყნის არცერთი ებრაელი არ გადაეცა გერმანელებს. ბულგარელ ებრაელებს სიცოცხლე შეუნარჩუნეს უბრალო ადამიანებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა, ეკლესიამ. ესენი ბოლომდე იბრძოდნენ ყოველი ებრაელის სიცოცხლისათვის. ბულგარეთის მეფე ბორის მესამემ გერმანიის ხელისუფალთ თავად გამოუცხადა, რომ არ დაუშვებს თავისი მოქალაქეების დეპორტაციას. ასე გადაარჩინა დალუპვას ხუთი ათასი ბულგარელი ებრაელი.

ნორვეგია

ეს სახელმწიფო გახლავთ სამაგალითო იმ თვალსაზრისით, თუ რა შეუძლია — რა ძალა აქვს ხალხს: ნორვეგიის მმართველი დაეთანხმა ფაშისტების მოთხოვნას თავი მოეყარა ნორვეგიის ებრაელი მოქალაქეებისათვის და სადემორტაციოდ გადაეცა გერმანელებისათვის, მაგრამ ვერ გაითვალისწინა ნორვეგიელი ხალხის სულისკვეთება: ნორვეგიელები ალაშფოთა ქვეყნის მმართველებს ამ გადაწყვეტილებამ და მის წინააღმდეგ განწყვიტდნენ. მოსახლეობა აწყობდა მსვლელობებს და მოითხოვდა ებრაელთა დეპორტაციის უარის თქმას. მათ ეკლესიაც კი უჭერდა მხარს. ანტიფაშისტურ იატაკქვეშეთს კი ებრაელები ღამ-ღამობით მეზობელ შევციაში გადაჰყავდა. ომის დასრულების შემდეგ ყოველი ებრაელი ნორვეგიის დაუბრუნდა.

დანია

დანიაში ებრაელებთან მიმართებაში 1943 წლამდე შედარებითი სიმშვიდე სუფევდა. მაგრამ ამ წელს ფრონტის ხაზზე მდგომარეობის ცვლილების გამო, გერმანელები გვემავდნენ ებრაელების დეპორტაციას საკონცენტრაციო ბანაკებში. დღესაც ვერ გაურკვევიათ, თუ რა ამოძრავებდა გერმანიის — ებრაელობის დაუძინებელი მტრის — სამხედრო ატაშეს გეორგ დუკვიცს, როცა ფაშისტების გეგმები დანიის სოციალ-დემოკრატებს გააცნო. დანიელებმა ეს რომ შეიტყვეს, მოახერხეს მეთევითა ნავებით შვიდი ათასი ებრაელი დანიისაგან განერიდებინათ. გერმანელებმა ამ ქვეყანაში მცხოვრები ებრაელობის მხოლოდ 7% ჩაიგდეს ხელში, ნაცვლად 100%-ისა, როგორც ისინი გეგმავდნენ. რასაკვირველია, გარკვეული როლი ითამაშა იმანაც, რომ დანიის ხელისუფლება ებრაელებს თანაუგრძნობდა.

ფინეთი

ამ ქვეყნის მოსახლეობა სასტიკი წინააღმდეგი გახლდათ ებრაელთა ლიკვიდაციისა, ამიტომ ხელისუფლებამ გამოსავალი მოიხაზა: ებრაელობის დიდი ნაწილი გერმანელთა თვალს მოაჩივრა — მივარდნილი სოფლებში გადასახლა, ნაწილი კი ისეთ დანესებულებებში დაასაქმა, სადაც მათ გერმანელები ვერ შენიშნავდნენ, მაგრამ რამდენიმე ებრაელი გერმანელებს მაინც ჩაუვარდნენ ხელში. ფინეთში სწორედ ეს რამდენიმე ადამიანი ითვლებ-

ბა ჰოლოკოსტის მსხვერპლად.

ს ს რ ჰ

ფაქტიურად, სსრ კავშირი აღმოჩნდა ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც ებრაელ ლტოლვილებს კარი არ მიუხურა და მიიღო. ბევრი სახელმწიფო, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები, ებრაელ ლტოლვილთა გემებს უკან აბრუნებდნენ, სსრ კავშირმა კი ებრაელები შეიფარა, თუმცა, შემდეგ ბევრი მათგანი გულაგებში გაგზავნა, მაგრამ ასეა, თუ ისე, ეს იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც კატასტროფის წლებში ებრაელებს გადარჩენის საშუალება მისცა.

პრინცესა მიდლტონის თაობაზე

რაბინები დიდი ყურადღებით სწავლობენ პრინც ლიამის მეუღლის — ქეთი მიდლტონის საგვარეულო ხეს. ქეთის დედა — კეროლ მიდლტონი გახლავთ როლანდ გოლდსმიტისა და დოროთი ჰარისონის — ორივენი ებრაელები — შვილი.



დოროთი ჰარისონის მშობლები არიან რობერტ და ელიზაბეტ ტემპლები — ებრაელები, თანაც ელიზაბეტი წარმომავლობით ინგლისის ებრაელობაში კარგად ცნობილი ოჯახის — მაერების წრიდანაა. ასე რომ: ქეთი დედის მხრიდან სრული ებრაელია. ებრაული ტრადიციის მიხედვით, კი, ებრაელად მიიჩნევა ის, ვისაც დედა ჰყავს ებრაელი. აქედან გამომდინარე, ინგლისის მომავალი მეფე ებრაელი იქნება.

ყველაზე

ბედნიერი ქვეყნები

კორონავირუსის პანდემიის მიუხედავად, ყველაზე ბედნიერი ქვეყნების რეიტინგი ერთობ დამაიმედებელია. როგორც ჩანს, მსოფლიო მალე დაუბრუნდება ცხოვრების ნორმალურ რიტმს. 20 მარტს ტელეარხმა CNN გამოაქვეყნა კვლევის შედეგი: ყველაზე ბედნიერი ქვეყნების მოსახლეობის სია პანდემიამაც კი ვერ შეცვალა. მეოთხე ნე-ლია სიაში პირველ ადგილს ფინეთი ინარჩუნებს. შემდეგ: 2. ისლანდია, 3. დანია, 4. შვეიცარია, 5. ნიდერლანდები, 6. შვეცია, 7. გერმანია, 8. ნორვეგია, 9. ახალი ზელანდია, 10. ავსტრია, 11. ისრაელი, 12. ავსტრალია, 13. ირლანდია, 14. აშშ, 15. კანადა, 16. ჩეხეთი, 17. ბელგია, 18. დიდი ბრიტანეთი, 19. ჩინეთი, 20. საფრანგეთი. მარშან აშშ მე-18 ადგილზე იყო. წელს მე-14-ზე გადაინაცვლა, დიდი ბრიტანეთი მე-13 ადგილზე გახლდათ და მე-18-ზე ჩამოქვეითდა. ამ ხნის განმავლობაში, ისრაელმა მდგომარეობა ერთი ერთეულით გაიუმჯობესა: ეს კი იმას ნიშნავს, ისრაელის მოსახლეობა, წელს ოდნავ უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე მარშან.

ებრაელები საქართველოში:

ისტორიულ-დემოგრაფიული ნარკვევი

რევაზ გაჩეჩილაძე

ებრაელები საქართველოს ტერიტორიაზე XIX საუკუნემდე

ქართული მოსახლეობის რიცხო-ბრივი დომინაციის პირობებში, საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებიც. მათ შორის ისტორიულად ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ურთიერთობა ეთნიკურ ქართველებს ჰქონდათ ებრაელებთან.

ქართულ ისტორიულ ქრონიკაში ებრაელების ქართლში მოსვლის შესახებ დაცული ერთადერთი ცნობა ძვ. წ. VI საუკუნეზე მიგვითითებს ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. როინ მეტრეველი, თბილისი: მედიანინ-არტანუჯი, 2008]. ლეონტი მროველი ანტიკური ხანის მცხეთაში ებრაელთა დამკვიდრებას უკავშირებს ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ „მუნით ოტებულ ურიათა“ ერთი ჯგუფის შორეულ ქართლში წამოსვლას.

რამდენად ახლოსაა ეს ცნობა რეალობასთან? იქნებ, მართლაც ასე იყო?

თუმცა, ლოგიკა გვეკარნახობს, რომ თუკი ლტოლვილების ამ ჯგუფს მხოლოდ თავის გადარჩენა ენადა, ის არ გაუდგებოდა რამდენიმე თვის სავალ სახიფათო გზას იერუსალიმიდან მცხეთამდე.

უნდა არსებობდეს სხვა ვერსიებიც ქართლში ებრაული მოსახლეობის პირველი გამოჩენისათვის. ერთ-ერთ ასეთ ვერსიად გვეჩვენება „ფუნქციური ჰიპოთეზა“, რომელიც ებრაელების მცხეთაში გამოჩენას გარკვეულ ფუნქციურ დატვირთვას მისცემდა.

მას შემდეგ, რაც აქამანიათა ირანის მეფე კიროს II-მ გაანადგურა ახალი ბაბილონის სამეფო, მან იერუსალიმში დაბრუნებისა და ტაძრის აღდგენის ნება დართო ებრაელებს. მაგრამ ებრაელთა საკმაო ნაწილი აქამანიათა იმპერიაში დარჩა: ეს თანახმად „ესთერის ნიგნშიდანაც“ ჩანს. მათი უმრავლესობისათვის მშობლიურ ენად უკვე ქცეულიყო არამეული ენა.

ძველი ეგვიპტელების, ან ძველი ბერძნებისაგან განსხვავებით, ძველ ებრაელებს თავი არ გამოუჩინებია არც სახვით ხელოვნებაში და არც არქიტექტურაში, მაგრამ დანერგილი ტექსტის მიმართ მათ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ. ებრაელების საკმაო ნაწილი ნიგნ-იერი იყო, ზოგი მათგანის პროფესიად კი გადამწერლობა ქცეულიყო. იქნებ, ამ ადამიანების მიერ არამეულია და სხვა ენების ცოდნა შეიძლება გამოდგეს ებრაელთა პირველი ნაკადის მცხეთაში მოსვლის ასახვად?

საქმე ისაა, რომ აქამანიათა ხანიდან მოყოლებული, ირანში გავრცელებული იყო ოფიციალური ტექსტის წერისა და წაკითხვის თავისებური მეთოდი, რომელსაც ალოგლოტოგრაფიის სახელით იცნობენ [გამყრელიძე, თამაზ. წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა. თბილისი: თსუ გამ-ბა, 1989, გვ. 198-201].

აკად. თ. გამყრელიძის მიხედვით, აქამანიათა ირანში შაჰინშაჰის ბრძანების ან რეგიონის მმართველის მოხსენებითი ბარათის ან ანგარიშის ჩანერა, ხდებოდა ამჟამად მკვდარ ელამურ ენაზე, ლურსმული დამწერ-

ლობის გამოყენებით, მაგრამ ტექსტის ნამკითხველი უმალ თარგმნიდა და მსმენელისათვის გასაგებ ენაზე კითხულობდა მას. პართიისა (ძვ. წ. 240-ახ.წ.226 წწ.) და სასანიანთა ირანის (226-651 წწ.) დროს კომუნიკაციის იგივე მეთოდი გამოიყენებოდა. ოლონდ იმ პერიოდში ტექსტს წერდნენ არამეულ ენაზე, ამ უკანასკნელის კონსონანტური დამწერლობის (აბჯადის) გამოყენებით, რაც ბევრად უფრო მარტივი და სწრაფი პროცედურა იყო ელამური ენის ლურსმული დამწერლობის გამოყენებასთან შედარებით. მიწერილ არამეულ ტექსტს კი უმალ თარგმნიდნენ მსმენელისათვის გასაგებ ფალაურ („სამუალო სპარსულ“) ენაზე. ყველა ასეთ შემთხვევაში დამწერიც და წამკითხველიც ერთდროულად ორი — არამეული და ფალაური — ენის სრულყოფილი მცოდნე უნდა ყოფილიყო.

უნდა ვიფიქროთ, რომ პართიისა და სასანიანი მეფეების სატახტო ქალაქებსა და ქართლის დედაქალაქს შორის კომუნიკაციისათვის საჭირო ენების მცოდნე ადამიანები ყოფილიყვნენ ირანში ნაცხოვრები ებრაელები. არქეოლოგების მიერ მცხეთაში აღმოჩენილი ქვაზე ნაკვეთი/ნაკანრი არამეული ტექსტები ამ ენის მცოდნეების მიერ უნდა იყოს შესრულებული. იქვე ნაპოვნი დაახლოებით ორი ათასი წლის წინანდელი სანერი საშუალებებიც ადასტურებს, რომ მცხეთაში იყო ხალხი, ვინც ეტრატზე ან სხვა სანერ მასალაზე კალმითა და მელნით წერდა.

რატომ არ შეიძლება დაფუძვით, რომ არამეულისა და ფალაურის მცოდნე თარგმნები ოჯახებთან ერთად წავიდოდნენ მცხეთაში (ისევე, როგორც პართიისა და სასანიანთა იმპერიის სხვა რეგიონულ ცენტრებსა, ან მეზობელ ქვეყნებში) და იქ კარგა ხნით, იქნებ, სამუდამოდაც კი, დარჩებოდნენ? ბუნებრივია, რაღაც ეტაპზე მათ ქართლის შესწავლაც დასჭირდებოდათ ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ხალხთან საურთიერთოდ. ამ თარგმანთა ოჯახის წევრები და მათივე რელიგიის თანამომხმეები ეკონომიკური ტიპის საქმიანობაშიც (ვაჭრობა, ხელოსნობა) ჩაერთვებოდნენ. საუკუნეთა განმავლობაში ებრაელები გადავიდოდნენ მცხეთიდან საქართველოს სხვა რეგიონებშიც.

ჯამში ასეთ პროცესს შეიძლება ეწოდოს მიგრაცია ეკონომიკური მოტივით და არა პოლიტიკური მოტივით — დევნიდან თავის გადასარჩენად.

იუდეველთა მცხეთაში დამკვიდრების ასეთი „ფუნქციური ჰიპოთეზა“, რასაკვირველია, სავარაუდოდ დამკვიდრების შემთხვევაში მათი მოსვლა შეიძლება დანყებულიყო პართიის ხანაში, 20-22 საუკუნის ნიწათ.

ამასთან, შესაძლებელია იმის დამკვირვება, რომ ქართლში ებრაელთა სხვა მიგრაციული ნაკადები ადრეც შემოდიოდნენ, უფრო მოსალოდნელია, რომ ირანიდან, სადაც მათი დიასპორა ძველთაგანვე მრავალრიცხოვანი იყო.

ძველ საქართველოში ებრაელების საგრძნობი ნაწილი ვაჭრობა-ხელოსნობას მისდევდა, თუმცა, უმეტესობა სოფლის მეურნეობაში უნდა ყოფილიყო ჩართული. ამის გარეშე, პრაქტიკულად ნატურალური მეურნეობის პირობებში, მათ არსებობა გაუჭირდებოდათ: მათი გლეხები ამზადდნენ

ისეთ საკვებს, რასაც ქაშრუთი იუდეველებისათვის დასაშვებად მიიჩნევს. საკმაოდ ბევრი ებრაელი იქცა ყმა-გლეხად: ასეთი ფაქტები მრავლად არის მოყვანილი, მაგალითად, ლ. ბააზოვას ნიგნში [Баазова, Лили. Евреи в Грузии. Москва: Галактика, 2016]. ზოგი მათგანი კი მიწათმფლობელიც შეიძლება გამხდარიყო. მაგალითად, 1260 წლით დათარიღებულ ერთ ნასყიდობის საბუთში ვხვდავთ, რომ ქართველი დიდებული ქართლის ერთი სოფლის ნახევარს ყიდულობს მუსლიმი მფლობელისაგან, მეორე ნახევარს კი სომეხი და ებრაელი თანამფლობელებისგან, რომელთაც ადრე ეს მამული საზიაროდ უყიდათ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტომი I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბილისი: მეცნიერება, 1984, გვ. 147].

შუა საუკუნეების ევროპის უმეტესი ქრისტიანული ქვეყნების ებრაელებს არ ეძლეოდათ არც მინის ფლობისა და არც მინით სარგებლობის უფლება. ამიტომაც ისინი ურბანიზებულ მოსახლეობად იქცნენ და ისეთ პროფესიებში ჩაერთვნენ, რომელთაც სოფლის მეურნეობაზე ბევრად მეტი ეკონომიკური ეფექტი ჰქონდათ.

შუა საუკუნეების ისლამურ ქვეყნებში ებრაელობა უკეთ გრძნობდა თავს, ვიდრე დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქრისტიანულ სამეფოებში. თეორიულად ისლამი რჯულშემწყნარებელია „ნიგნის ხალხების“ — იუდეველებისა და ქრისტიანების — მიმართ, იმ პირობით, რომ ისინი მუსლიმ მმართველს დაემორჩილებიან და სულადობრივ გადასახადს გადაიხდიან. პრაქტიკულად კი ხალიფებს, შაჰებს, სულთნებს ესაჭიროებოდათ ფულთან დაკავშირებული არამუსლიმები. ყურანი მუსლიმს უკრძალავს მევახშეობას, მაგრამ საბანკო სისტემის არარსებობის პირობებში ასეთი ეკონომიკური ფუნქციის შესრულება მაინც აუცილებელი იყო. ებრაელი ვაჭრები მევახშის ფუნქციასაც ასრულებდნენ და, ჩვეულებრივ, სარგებლობდნენ მუსლიმი მმართველის მფარველობით, რომელსაც, არც თუ იშვიათად, თავადაც ესაჭიროებოდა სესხის აღება.

როდესაც ოსმალეთის სულთანმა ბაიაზიტმა 1492 წელს ესპანეთიდან და 1497 წელს პორტუგალიიდან განდევნილი ებრაელები შეიფარა, სავარაუდოდ, მას ჰუმანურობაზე მეტად პრაგმატული ეკონომიკური ინტერესი ამოძრავებდა.

ქრისტიანი ქართველების ტრადიციულად არაკონფორტაციული თანარსებობა ებრაელებთან შეიძლება აიხსნას ორი ძირითადი მიზეზით. ერთი, ასე ვთქვათ, ფსიქოლოგიურ-ემოციურია, მეორე კი — ეკონომიკური. პირველი ისაა, რომ ქართული ტრადიცია ებრაელებს აკავშირებს ქართლში ქრისტიანობის შემოტანასთან. „მოქცევა ქართლისა“ ახსენებს, ფაქტობრივად, პირველ იუდეურ-ქრისტიანებს, როდესაც მათ მიერ მცხეთაში ქრისტეს კვართის ჩამოტანაზე გვიამბობს. მიუხედავად იმისა, ასახავს თუ არა ეს ნარატივი რეალობას, ქრისტიანი ქართველს ასეთი ვერსიისა სჯეროდა და განწყობილი იყო უცხოვრად არ აღექვა ქართულენოვანი ურია: მე-20 საუკუნემდე ეთნიკური ქართვე-



ლი ამ სახელით იცნობდა ქართველ ებრაელს, რასაც სულაც არ დაჰკრავდა დამამცირებელი ელფერი (ტერმინი „ქართველი ებრაელი“ შედარებით ახალია).

მართლმადიდებელი ეკლესია არ განაწყობდა მრევლს იუდეველების წინააღმდეგ. გარდა ამისა, საქართველოში არსებობდა ეთნო-რელიგიური თანაარსებობის ტრადიცია: ზემოხსენებული 1260 წლის ისტორიული დოკუმენტიც გვიჩვენებს, რომ ქრისტიანი-მართლმადიდებელი, ქრისტიანი-მონოფიზიტი, მუსლიმი და იუდეველი მშვიდობიანად თანარსებობდნენ ქართულ სახელმწიფოში.

არაკონფორტაციული თანარსებობის მეორე მიზეზია, რომ შუასაუკუნეების და, ალბათ, უფრო ადრინდელ საქართველოშიც ებრაელების საგრძნობი ნაწილია დაიკავა ის ეკონომიკური ნიშა — საცალო ვაჭრობა (საბითუმო ვაჭრობა ძირითადად სომეხი სოფდაგრების მონოპოლია იყო) და მევახშეობა — რასაც ქართველი დიდებული არ კადრულობდა, ხოლო გლეხს ასეთი საქმის არც არაფერი გაეგებოდა და არც უფლებამოსილება ჰქონდა. შუა საუკუნეებში და XIX საუკუნეშიც კი გადმოდირებული ებრაელი საერთო ენას გამოიხატავდა ქართველ დიდებულთან. ლარიტი ებრაელი კი ქართველ გლეხზე შეძლებული შეიძლება არც ყოფილიყო. სამუალო ეთნიკური ქართველისათვის არ არსებობდა საშუალო ებრაელის მიმართ შურის წარმოშობის წინაპირობა, ან საკუთარი არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოყალიბება, რაც, ჩვეულებრივ, არის ხოლმე ანტისემიტის წინააღმდეგობის საფუძველი.

როგორც ცნობილი ქართველი მწერალი, წამომოხიტი ებრაელი, გურამ ბათიაშვილი წერდა: „ებრაელობა საქართველოში ისევე შრომობდა, ისევე აქცევდა ოფლს და სისხლს ამ მიწას, როგორც ქართველი... ებრაელს ჰქონდა თავისუფალი არსებობისა და შრომის უფლება. ებრაელის სისხლი არ დაღვრილა იმის გამო, რომ ის ებრაელია“ [მეტრეველი, რ. ებრაელები საქართველოში. წინათქმა გ. ბათიაშვილისა. თბილისი, 2002, გვ. 7].

ებრაული მოსახლეობა საქართველოში ტერიტორიაზე XIX საუკუნეში

XX-XXI საუკუნეების არაერთი ავტორი შეეხო საქართველოში ებრაელთა ცხოვრების ისტორიას (მაგალითად, ზ. ჭიჭინაძე, ნ. ბაბაკაშვილი, კ. ლერერი, ე. მამისთვალიშვილი, გ. ბათიაშვილი, ჯ. აჯი-აშვილი, ი. დავიდი, ლ. ბააზოვა, რ. მეტრეველი და სხვ.). ამასთან, მაინც რჩება საქართველოს ებრაელობასთან დაკავშირებული დემოგრაფიული სტატისტიკის კრიტიკულად განხილვის საჭიროება.

საქართველოს ებრაული მოსახლეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია ჩნდება მხოლოდ რუ-

სეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსირების შემდეგ.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ (1861წ.რუსულ გუბერნიებში, 1864-1871წ — საქართველოში) რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მმართველობის სისტემამ დაიწყო დაახლოება ევროპულ მოდელთან და სტატისტიკური სამსახურიც გაუმჯობესდა.

იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის შესახებ ინფორმაციას გვანჯდის „კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის“ მიერ 1870-იან წლებში შეკრებილი ინფორმაცია, რომელიც გამოქვეყნდა 1880 წელს „Сборник сведений о Кавказе“-ს მე-7 ტომში [Сборник сведений о Кавказе. Том VII, изданный под редакцией главного редактора Кавказского статистического комитета Н. Зейдлица. Типография Главного управления Наместника Кавказа. Тифлис, 1880].

ზ ე მ ო ხ ს ე ნ ე ბ უ ლ „კრებულში“ მოტანილია სტატისტიკური ცხრილები მთელი კავკასიის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ. მოსახლეობის რიცხოვნობა მითითებულია გუბერნიების, მაზრებისა და ზოგიერთი დასახლებული პუნქტის მიხედვითაც კი.

ებრაელების შემთხვევაში არაა მითითებული მათი სუბეთნიკური დაყოფა (აშქენაზი, ქართველი, მთიელი, ბუხარელი და ა.შ.). მაგრამ შედარებით მწირი ინფორმაცია გვადლევს საშუალებას ნაწილობრივ დავადგინოთ ებრაელების განსახლების გეოგრაფია 1870-იანი წლების საქართველოში. „კრებულის“ მიხედვით ქუთაისის გუბერნიაში, რომელიც მოიცავდა დასავლეთ საქართველოს (იმ დროს — სოხუმის ოკრუგისა და ბათუმის ოლქის გარეშე), სულ სახლობდა 3516 ებრაელი, ხოლო თბილისის გუბერნიაში, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ფარავდა, — 5295, ანუ ჯამში სულ 8811 ადამიანი [იქვე, გვ. 10-17] (იხ. ცხრილი 1).

1880წ. გამოცემულ „კრებულში“ ნახსენები არაა ზოგიერთი პუნქტი, სადაც ებრაელები ნამდვილად სახლობდნენ, მაგალითად, გორის მაზრაში შემავალი ქ. ცხინვალი, დაბა სურამი და სხვ.

ცხრილ 1-ში „დაბას“ (შემოკლებით „დ.“) შესატყვისება რუსული ტერმინი местечко, რაც ებრაელთა განსახლებას უკავშირდებოდა: რუსეთის იმპერიის ებრაელები ძირითადად ცხოვრობდნენ местечко/შტეტლში. იმდროინდელი ქართველი ებრაელებიც ცხოვრობდნენ პატარა ქალაქებში, დაბებში, ან მოზრდილ სოფლებში, რომელთაც იმპერიის დროინდელი სტატისტიკა местечко-დ მოიხსენიებდა. საქართველოს დიდ ქალაქებში მათი მიგრაცია XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებში იმატებს.

ცხრილ 1-ში ყურადღებას იპყრობს ებრაელების საკმაოდ დიდი რაოდენობა (ორი ათასამდე) ქ. ახალციხეში. როგორც ჩანს, ახალციხელი ებრაელები იყვნენ ის „გურჯები“, რომლებიც XIX საუკუნეში ავიდნენ იერუსალიმში და იქ „გურჯების უბანი“ დააარსეს.

დემოგრაფიული ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა 1897 წელს ჩატარებული რუსეთის იმპერიის მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა (როგორც შემდგომში გაირკვა, ის იმპერიის ხანაში

**ცხრილი 1
ებრაული მოსახლეობა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, ცალკეულ მაზრებსა და დასახლებულ პუნქტებში (1873 წ.)**

ადმინ.-ტერ. ერთეული და დასახლებული პუნქტი	ებრაული მოსახლეობა
თბილისის გუბერნია მათ შორის	5295
ქ. თბილისი	1145
დანარჩენი თბილისის მაზრა	32
ქ. თელავი	19
დანარჩენი თელავის მაზრა	6
გორის მაზრა	2093
ქ. ახალციხე (ახალციხის მაზრა)	1972
ქ. ახალქალაქი (ახალქალაქის მაზრა)	27
ქუთაისის გუბერნია მათ შორის	3516
ქ. ქუთაისი	1579
დანარჩენი ქუთაისის მაზრა	134
დ. საჩხერე (შორაპნის მაზრა)	628
დ. ონი (რაჭის მაზრა)	484
დ. ლაილაში (ლენჩხუბის მაზრა)	400
დ. სუფუნა (სენაკის მაზრა)	203
დ. ახალ-სენაკი (სენაკის მაზრა)	88

უკანასკნელიც აღმოჩნდა). კავკასიის შესახებ აღწერის მონაცემები გამოქვეყნდა პეტერბურგში 1905 წელს [Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 года. Под редакцией Н. А. Тройницкого. Том II, С.-Петербург, 1905].

1897 წლის აღწერამ აჩვენა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, ანუ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში (ეს უკანასკნელი იმ დროს მოიცავდა ბათუმის ოლქსა და სოხუმის ოკრუგს), ცხოვრობდა 16716 იუდეველი, რაც შეადგენდა იმდროინდელი საქართველოს მთელი მოსახლეობის (1, 310 მლნ) 1,28 პროცენტს. მათი გეოგრაფიული განაწილება მოყვანილია ცხრილ 2-ში.

**ცხრილი 2
იუდაისტური აღმსარებლობის მოსახლეობა საქართველოს ტერიტორიაზე მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მათი ცენტრების მიხედვით (1897 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით)**

ადმინის. ერთეული	ებრაულენოვანი	ქართულენოვანი	სულ
თბილისის გუბერნიაში, სულ	5079	4158	9237
მათ შორის ქ. თბილისში	2868	411	3279
ქუთაისის გუბერნიაში, სულ	5758	1721	7479
მათ შორის ქ. ქუთაისში	3410	38	3448
ბათუმის ოლქში	1053	51	1104
მათ შორის ქ. ბათუმში	1043	51	1094
სოხუმის ოკრუგში	135	14	149
მათ შორის ქ. სოხუმში	134	9	143

1897 წლის მოსახლეობის აღწერას სერიოზული ნაკლი ახლდა: სააღწერო ფურცელში არ იყო კითხვა ეროვნების შესახებ: კითხვები ეხებოდა მხოლოდ მშობლიურ ენასა და რელიგიას. ამ ხარვეზს ებრაელების შემთხვევაში თითქოს ნაკლებად უნდა ემოქმედა, რადგან იუდაისტური აღმსარებლობის ყველა პირი ებრაელია. მშობლიური ენის მიხედვით კი შეიძლება დადგენილიყო მათი კუთვნილება ებრაელთა სუბეთნოსისადმი: ებრაელთა ერთ-ერთი ასეთი სუბეთნოსია „ქართველი ებრაელები“. ასე მაგალითად, ქ. ბაქოში 1897 აღრიცხულ 1008 ადამიანს შორის, ვინც მშობლიურ ენად ქართული მიუთითა, იუდაიზმის მიმდევარი 50 ადამიანი იყო: ისინი ქართველი ებრაელები იქნებოდნენ.

მაგრამ საქართველოში მცხოვრები ებრაელების შემთხვევაში 1897 წლის აღწერამ მშობლიური ენა არასწორად აღრიცხა და ამიტომაც მცდარი გამოვიდა ებრაელების განაწილება ენობრივ თემებად. საქართველოში აღრიცხა 10837 იუდეველი მშობლიური „ებრაული ენით“ (იგულისხმებოდა იდიში). ქართველმა ებრაელებმა იდიში, ჩვეულებრივ, არ იცოდნენ, მაგრამ აღწერის ორგანიზატორებმა მათ ამ ენის ცოდნა მიანერეს! ამიტომაც ქართული, როგორც მშობლიური ენა, მითითებული აღმოჩნდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მხოლოდ 5879 იუდეველისათვის. ქუთაისის გუბერნიაში აღრიცხული 7479 იუდაისტური აღმსარებლობის მცხოვრებიდან ქართული მშობლიური ენად აქვს მითითებული მხოლოდ 23 პროცენტს (დანარჩენს — „ებრაული“), თუმცა ცნობილია, რომ ქუთაისის გუბერნიის თითქმის ყველა ებრაელი ქართულენოვანი იყო.

მიუხედავად ხარვეზებისა, 1897 წლის აღწერის შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემები მაინც ღირებულია. მათი შედარება 1873 წლის მონაცემებთან გვიჩვენებს, რომ 24 წლის განმავლობაში იუდაიზმის მიმდევარი მოსახლეობის რიცხოვნობა საქართველოს ტერიტორიაზე გაორმაგდა: 1873 წლის 8,8 ათასიდან თითქმის 17 ათასამდე 1897წელს.

რუსეთის იმპერიაში, სადაც ახალშობილთა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი მაღალი იყო, მოსახლეობის ასეთი ზრდა მხოლოდ ბუნებრივი ნამატის მეშვეობით ვერ მოხდებოდა. საქართველოს ტერიტორიაზე ებრაული მოსახლეობის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო აშქენაზი ებრაელების შემოსვლა იმპერიის ევროპული ნაწილიდან (მარჯვენა ნაპირის უკრაინა, ბელარუსი, პოლონეთი, ლიეტუვა), რომელიც მე-18 საუკუნეში რეჩ პოსპოლიტის შემადგენლობაში შედიოდა, ბესარაბიიდან და ევროპული ქვეყნებიდან.

იმპერიის შემადგენლობაში შემავალ სამხრეთ კავკასიაზე, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე, არ ვრცელდებოდა ებრაელების „ბინადრობის ზღვარი“ შეზღუდვა. ამიტომაც XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში სწრაფად განვითარებულ მრავალეთნიკურ ქალაქებში, თბილისსა და ბათუმში, აშქენაზი ებრაელების ჩამოსახლება საქართველოს ებრაელთა რაოდენობრივი ზრდის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად იქცა.

(გაგრძელება იქნება)

* 1. აშქენაზი (გერმანულად Aschkenasi) არის ცენტრალური და ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპის ებრაელების კრებითი სახელი. მათი სალაპარაკო ენა იყო X-XIV საუკუნეებში განვითარებული იდიში (Yiddish), რომელიც 70 პროცენტით იყენებს გერმანულ ლექსიკას გამდიდრებულს ნასესხობებით ებრაული, არამეული, სლავური ენებიდან. იდიში იყენებსებრაულ დამწერლობას, მაგრამ ეყრდნობა გერმანული ენის მორფოლოგიას და სინტაქსს. აშქენაზი იდიშის გავრცელების არეალი ძალიან შემცირებულია. მისი მატარებლების საგრძნობი ნაწილი ჰოლოკოსტს შეენირა, ხოლო ისრაელში მას, არსებითად, სდევნიდნენ, როგორც საკუთრივ ებრაული ენის კონკურენტს. საბჭოთა პერიოდის რუსულში იდიშს უწოდებდნენ еврейский язык, ხოლო საკუთრივ ებრაულს — иврит-ს. ებრაული ენის აღსანიშნავად ქართულში ხანდახან იყენებენ ტერმინს „ივრიტული“.

2. იდიშზე местечко-ს შესაბამება სიტყვა (Stettl), რომელიც ეტიმოლოგიურად უკავშირდება გერმანულ Städtlein-ს, ანუ „პატარა ქალაქს“.

3. „გურჯი“ არის „ქართველის“ სახელი სპარსულ და თურქულ ენებზე. 1918 წლამდე ოსმალეთის იმპერიაში შემავალ პალესტინაში, 1922-1948 წლებში — ბრიტანეთის სამანდატო პალესტინაში და 1948 წლიდან ოციოდეწელი — ისრაელის სახელმწიფოში ქართველ ებრაელებს იცნობდნენ სახელით „გურჯი“. 1970-იან წლებიდან, საქართველოს სსრ-დან დიდი ალიის შემდეგ, ისრაელში მათ სახელად რუსულის გავლენით გამოიყენებოდა ტერმინი „გურუზინი“, XXI საუკუნიდან კი — „გურჯი“.

4. 1791 წლიდან რუსეთის იმპერიაში ებრაელებს დაწესებული ჰქონდათ „ბინადრობის ზღვარი“ (რუსულად „черта оседлости“), რომელიც მოიცავდა იმპერიის მიერ ანექსირებული რეჩ პოსპოლიტის (პოლონეთ-ლიეტუვის სამეფოს) ტერიტორიას, რაც პოლონური გუბერნიების გარდა, მოიცავდა მარჯვენა ნაპირის უკრაინას, ბელარუსს, ლიეტუვას. საკუთრივ რუსეთსა (Великороссия) დედადაქალაქებში — პეტერბურგსა და მოსკოვში — ებრაელებს დასახლების უფლება არ ჰქონდათ: გამოწვეული ვრცელდებოდა უმაღლესი განათლების მქონე პირებზე და პირველი გილდიის ვაჭრებზე. ამის გამო საკუთრივ რუსეთში მცხოვრები ებრაელები შედარებით მცირერიცხოვანი ებრაელები თითქმის უკლებლივ წარმოადგენდნენ ინტელიგენციასა და მდიდარ ბურჟუაზიას.

ბაიოტრეის Parallel Traces - „პარალელური კვალი“

11 მარტს თბილისში ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ებრაული კულტურისა და მემკვიდრეობის დაცვისა და ხელშეწყობის ევროპული ასოციაციის AEPJ-ის ახალი პროექტის - Parallel Traces (პარალელური კვალი) გამოფენა გაიხსნა, რომელიც ევროკავშირთან თანამშრომლობით, Creative Europe - პროგრამის ფარგლებში შეიქმნა.

პროგრამა My Parallel Traces - ჩემი პარალელური კვალი ითვალისწინებდა ევროპის ქვეყნებში ებრაული მემკვიდრეობის ციფრული ბარათების გაზიარებას.

პროექტის ძირითადი დისლოკაცია სლოვანი იყო „არის თუ არა თქვენს გულთან და მხსიერებასთან ახლოს ებრაული მემკვიდრეობის ძეგლები? რას ნარმოადგენს ისინი? და რას ნიშნავს ისინი თქვენთვის?“ ახალი My Parallel Traces კამპანია, რომელიც ებრაული მემკვიდრეობის ევროპასთან თანამშრომლობით განხორციელდა, ითვალისწინებდა ვირტუალური საფოსტო ბარათის გაგზავნას.



ბოლო წლის განმავლობაში პანდემიამ სრულიად შეცვალა მსოფლიო, შეცვალა ჩვენი ცხოვრება, ცნობიერება, ფასეულობანი და ზოგადად ადამიანური დამოკიდებულებები. იძულებულმა ჩაკეტილობამ თითქოს შეაჩერა სამყარო...

ახლა მოგზაურობა შეიძლება რთული იყოს; მუზეუმები, გამოფენები და მემკვიდრეობის ძეგლები უმეტესად დაკეტილია.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გავაგრძელოთ ებრაული მემკვიდრეობის ხელახლა აღმოჩენა და კვლევა მთელ ევროპაში. პროგრამა My Parallel Traces არის ამაღლებული, გამოცოცხლებული და ინტერაქტიული პლატფორმა, რომელიც დაგვხმარებს ამის გაკეთებაში. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად ვერ მოვიხაზულებთ სასურველ ადგილებს, მათთან ურთიერთობა და მიხლოება მაინც შეგვიძლია - ამ ადგილების ფოტოების გაზიარებით და ჩვენი პირადი ისტორიების თხრობის მეშვეობით. ეს მარტივი და საინტერესოა.

ყველას მოსწონს ღია ბარათების მიღება და My Parallel Traces მეშვეობით შესაძლებელი გახდა ასეთი ღია ბარათების შექმნა, გაგზავნა და მიღება ინტერნეტით.

პლატფორმამ შესთავაზა მსურველებს რეგისტრაციის გავლის შემდგომ ებრაული მემკვიდრეობის ძეგლის სურათის და მისი ისტორიული კონტექსტის მოკლე განმარტების და - რაც მთავარია - ავტორის ამ ადგილთან კავშირის შესახებ ინფორმაციის ასახვა და საიტზე განთავსება. ეს შეიძლება ყოფილიყო ოჯახური, ისტორიული, რელიგიური, ურბანული, ლიტერატურული, ისტორიულ მემკვიდრეობაზე ან რომელიმე ხელოვნების ნაწარმოებზე დაფუძნებული ასოციაციური კავშირი, საფოსტო ბარათი დატანილი წარწერით და საკუთარი პირადი შეტყობინებით, რომელსაც მეგობარს ან ახლობელს უგზავნი.

პროგრამის ფარგლებში მიღებული საფოსტო ბარათები - მათი ფოტოებითა და ანარეკლებით - იტვირთოდა საგანგებოდ შექმნილ ვებ - გვერდზე, როგორც მზარდი გალერეა. მსგავსი ინიციატივა ებრაული მემკვიდრეობის ინტერპრეტაციის ღია და პლურალისტურ მიდგომას და უფრო მეტ პერსპექტი-

ვას გვთავაზობს, ფოკუსირებას ახდენს თითოეული ადგილის მნიშვნელობაზე - არა მხოლოდ წარსულში, არამედ აწმყოსა და მომავალში. ებრაული მემკვიდრეობა წყაროც არის და რესურსიც და ამიტომ ყველას აზრი, ინტერესი და მისწრაფება მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია.

პროგრამის სპეციალური კომისიის მიერ გამოვლენილი იქნა კონკურსის გამარჯვებული ავტორები და მათი და ასევე მონვეული სტუმარი არტისტების ნამუშევრები წარმოდგენილი გამოფენაზე.

გამოფენის ორგანიზატორია „ისრაელის სახლი“, რომელიც საქართველოში ევროსაბჭოს მიერ სერტიფიცირებული ებრაული კულტურული მემკვიდრეობის მარშრუტის ოფიციალური წარმდგენია. ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და AEPJ-სთან, რომელთა ეგიდითაც ხორციელდება აღნიშნული მარშრუტი.

სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის თბილისს ეწვივნენ ებრაული კულტურისა და მემკვიდრეობის დაცვისა და ხელშეწყობის ევროპული ასოციაციის AEPJ-ის დირექტორი ვიქტორ სორენსენი და სტუმრები ევროპის ექვსი ქვეყნიდან. ღონისძიებას დაესწრნენ, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრები, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები.

გამოფენის გახსნას ვიდუომიმართვით მიესალმა საქართველოში ევროსაბჭოს ოფისის ხელმძღვანელი ნატალია ვუტოვა. ღონისძიების მონაწილეებს პირდაპირი ჩართვით ისრაელიდან მიმართა ქნესეთის წევრმა, იმიგრაციის, აბსორბციისა და დიასპორის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ დავიდ ბიტანმა.

გამოფენა „ისრაელის სახლის“ ხელმძღვანელმა იციკ მოშემ გახსნა. მისი თქმით, „ისრაელის სახლისთვის“ ებრაული მემკვიდრეობა არ არის წარსულში დაბრუნება. ეს არის კულტურული კოდი, რომლითაც ვაშენებთ მომავალს.

„ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ვმონაწილეობთ მაღალი დონის კულტურის ექსპორტში საქართველოდან, რასაც ჰქვია კულტურული დიპლომატია. ჩვენ 1 წლის წინ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს გადავეცით ახალი სამუზეუმო ფართი 3500 კვ.მ; ჩვენ გავხსენით ქალაქ ონში ჰოლოკოსტის მონუმენტი,



რომელიც არის პირველი კავკასიისა და ცენტრალურ აზიაში.

გვეჯერა, რომ კულტურული მემკვიდრეობა მნიშვნელოვანია და იზიდავს ტურისტებს.

ტურიზმის შემოსავლის ნაწილი შეიძლება ჩაიდოს კულტურის დიპლომატიაში და კულტურის ექსპორტში, რაც გაზრდის საქართველოს მიმართ ინტერესს, მოიტანს დამატებით ინვესტიციებს. და ეს ყველაფერი გაზრდის საქართველოს ეკონომიკასაც“, - აღნიშნა იციკ მოშემ და დასძინა: „კულტურა არის ნაციონალური კონსენსუსი. კულტურა იყო უფრო ადრე, ვიდრე დიპლომატია ქვეყნების ურთიერთობებში.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლების თანამშრომლობის მიმართულების ხელმძღვანე-



ლის სიგრიდ ბრეტელის შეფასებით, ეს გამოფენა არის ევროპული მემკვიდრეობის ერთ-ერთი ნათელი მხარე. რადგან საქართველოს აქვს ღრმა და დიდი ებრაული მემკვიდრეობა. ქვეყანაში მოღვაწეობს ბევრი ნიჭიერი ხელოვანი. ეს კარგია ევროპული კომუნიკაციისთვისაც, რადგან ამ გამოფენაში ვნახე ბევრი არტისტის ნამუშევარი“, - აღნიშნა ბრეტელმა.

პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის წევრის, ელისო ბოლქვაძის თქმით, სიმბოლურია რომ ამ გამოფენას მასპინძლობს საქართველო, ქვეყანა, რომელიც გამოირჩევა უძველესი კულტურით და შემორჩენილი მდიდარი ებრაული კულტურული მემკვიდრეობით.

„ევროსაბჭოს ეგიდით საქართველოში მოქმედებს ებრაული კულტურული მემკვიდრეობის მარშრუტი. ეს არის ერთი მხრივ ზრუნვა კულტურულ ღირებულებებზე, მეორე მხრივ, ამ მარშრუტის წყალობით საქართველო დიდი ხანია ისრაელისა და მსოფლიო ებრაელ ტურისტთა ყურადღების ცენტრშია. ებრაული კულტურული მემკვიდრეობის მარშრუტის ამოქმედება კიდევ უფრო აღრმავებს ისრაელთან და მსოფლიო ებრაელობასთან საქართველოს კავშირებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

მივსალმები ამ ფორმატში ისრაელის სახლის მიერ ყოველწლიურად ებრაული კულტურის ევროპული დღეების ჩატარებას.

იუნესკოს მშვიდობის არტისტის რანგში მე პირადად ვმონაწილეობდი ისრაელის სახლის მიერ ქნესეთის წევრებთან ერთად ორგანიზებულ ღონისძიებებში საქართველოსა და ისრაელში. მიმართა, რომ ასეთი აქტივობები ხელს უწყობს საქართველოს მრავალმხრივ წარმოჩენას, გარე სამყაროსთან მჭიდრო კავშირების ჩამოყალიბებას და რაც მთავარია, სამართლიანად იმის ხაზგასმას, რითიც საქართველო ყოველთვის ამყობს - ესაა მაღალი კულტურა და ტოლერანტული განწყობა“, - განაცხადა ელისო ბოლქვაძემ.

გამოფენა Parallel Traces-ის პროექტის ავტორები მიიჩნევენ, რომ ევროპის ისტორიის განუყოფელი ნაწილის - ევროპული ებრაული მემკვიდრეობის შესახებ ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა მექანიზმის საშუალებით შეიძლება. კერძოდ, ლაპარაკია ფოტოგრაფიული და აუდიოვიზუალური ნამუშევრების შექმნასა და ახალი აპლიკაციის განვითარებაზე. ებრაული მემკვიდრეობის ამსახველი ორიგინალური ციფრული ნამუშევრები, აგრეთვე, მნიშვნელოვანი მხატვრული მასალებია, რომლებიც წარმოდგენილია გამოფენებზე.

ეს არის ტრანსნაციონალური კულტურული და შემოქმედებითი სამუშაოების შედეგი.

პროექტის მონაწილე ქვეყნებია: ბელგია, ლუქსემბურგი, ესპანეთი, სერბია, რუმინეთი, პოლონეთი და საქართველო.

გამოფენა თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში (რუსთაველის გამზარი 27) 11 აპრილამდე გაგრძელდება.

ლელა ნიშუაშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოფენების კურატორი, ებრაული კულტურის მკვლევარი

ისრაელმა რუსული ვაქცინა რატომ შეისყიდა?

გაზეთი „ნიუ იორკ თაიმსი“ იწყება, რომ ისრაელმა საიდუმლოდ შეისყიდა რუსული ვაქცინა „სპუტნიკი“ და მიანოდა სირიას, იმისათვის რომ გამოიხსნას სირიაში საზღვრის დარღვევისათვის შეპყრობილი ისრაელის მოქალაქე ახალგაზრდა ქალი. ამ ახალგაზრდა ქალის ვინაობას არ ასაჯაროებენ, თუმცა, მოდინი-ილითის მცხოვრებმა ამ 22 წლის გოგონამ სოციალური ქსელების მეშვეობით თავად გააცნო თავი მკითხველს. როგორც ირკვევა, იგი მოგზაურობის დიდი მოყვარულია: „მე თავს შინ ვგრძნობ, სადაც ვიმყოფები, გარდა იმ ქვეყნისა, სადაც დავიბადე.“ აცხადებს იგი. ერთ-ერთი სოციალური ქსელის საშუალებით კი მკითხველს აუწყებს: „მე არ ვცნობ თქვენს დანესებულ საზღვრებს — არც მწვანეს, არც ცისფერს და არც არანაირი ფერისას.

ვერც ნითელი საზღვარი, ვერც ვერანაირი სასაზღვრო ხაზი ვერ მაკავებს.“ ძალიან ხშირად სტუმრობს პალესტინელებს. გაიძახის, ესენი ჩემი ბიძაშვილები არიანო. ამ ისრაელელმა გოგონამ ასე იცხოვრა კვიპროსში, საქართველოსა და უკრაინაში. საინფორმაციო წყაროები იწყებებიან, რომ თებერვლის შუა რიცხვებში სირიამ ტყვეობიდან გაანთავისუფლა ახალგაზრდა ქალი, თუმცა, ოფიციალურად იგი ისრაელის მიერ დაკავებულ ორ სირიელ გლეხზე გაცვალეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ სირიელ გლეხებს არ ენადათ ციხის დატოვება: აქ თბილადა ვართ და ცხელ კერძს გვაძლევენო. თუმცა, იმავე წყაროს მიხედვით, ისრაელის სახელმწიფომ გოგონას გამოსხნისათვის ივალდებული სირიისათვის 1,2 მილიონი დოლარის რუსული ვაქცინა შეესყიდა. იმასაც იწყებებიან, რომ პრემიერ-მინისტრმა ნეთანიაჰუმ თავი შეიკავა დაედასტურებინა ტყვეთა გაცვლის ფაქტი.

ფუნჯითა და კალმით უმღერის სიყვარულს

გამოსათხოვარი

ეს ინტერვიუ ოქტომბერში ჩაინერა და დღეს გამოდის „გამოსათხოვარის“ სახით. ბატონი ბენი მირელი (მირილაშვილი) მისთვის ჩვეული გუნდით, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, პასუხობდა ჩემს ყოველ შეკითხვას და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ადამიანებს სისადადვე უფრო ამშვენებთ, ვიდრე სიყალბით მოპოვებული წინ-მედლები.

ამბობენ, ხელოვანი ადამიანი თავისი შემოქმედებით ნაწილობრივ მაინც აუმჯობესებს სამყაროს. ხშირად მნახველს უჭირს ჩასწვდეს ბოლომდე, გაიზიაროს მხატვრის ჩანაფიქრი და მისი იდუმალებით მოცული სამყარო. ამიტომ ვენვიე ცნობილ მხატვარსა და პოეტს, ბ-ნ ბენი მირელს, რომ გავაცნოს თავისი შემოქმედება.

ლია კრიხელი: ბატონო ბენი. თქვენ დღეს გახვდებით „მენორას“ სტუმარი ბრძანდებით. უამბეთ მკითხველს თქვენს წარმომავლობაზე, ოჯახზე, შემოქმედებასა და მშობლიურ სოხუმზე.

ბენი მირილაშვილი: დავიბადე საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, ქ. სოხუმში. დედა, სურე (რახელ) ხოტოველი, ლეჩხუმიდან (ლაილაში) გახლდათ. მამა, იოსებ მირილაშვილი, კულაშიდან, მეფურნეების შთამომავალი იყო. მყავს ორი ძმა, შალვა და ანზორი. მაკლია ყველაზე უმცროსი და — დალი. იგი ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, სულო სეფიაშვილის მეუღლე გახლდათ.

ყველაზე ნათელი, რაც უნდა რჩებოდეს ადამიანს მესხიერებაში, ბავშვობაა. ბავშვობაში ვიყავი სუსტი — ყველა მჩაგრავდა. დავინყე სიარული ცეკვის, ხატვის ნრეებში. ფეხბურთმა გამომიყვანა ამ მდგომარეობიდან, რითიც ნელ-ნელა წამოვყვინჩილდი. დავინყე თამაში სოხუმის „დინამოში“. მალულად — მამა იყო წინააღმდეგი. ამბობდა, რომ მხოლოდ თორა და რწმენა ჩვენი საქმეო, თავშიშველი სიარულიც კი, ცოდეად მიაჩნდა. დავამთავრე სოხუმის მე-6 საშუალო სკოლა და გავემგზავრე თბილისში სამხატვრო აკადემიაში ჩასაბარებლად.

ლ. კ. გტკივით სოხუმში?

ბ. მ. მამა 56 წლის ასაკში მივაბარეთ სოხუმის მიწას (ნათელში იყოს!). დედა ... როდესაც სამუდამოდ ტოვებდა სოხუმის ორსართულიან სახლს უზარმაზარი ბაღითა და ეზო-გარემოთი, დაიცალა ეზო, ყველა ავტობუსში ვისხედით, დედა კი ვერ ვიპოვეთ. მივბრუნდი ეზოში და რას ვხედავ: დედაჩემი ხეებს ჩახუტებული, თვალცრემლიანი ემშვიდობებოდა იქაურობას. სოხუმი როგორც მიხაროდა, ისევე ღრმად მტკივა.

ლ. კ. რას გაიხსენებდით სტუდენტური ცხოვრებიდან, ვინ იყო თქვენთვის სამაგალითო ხელოვანი?

ბ. მ. მოგახსენებთ: 1966 წელს ჩავირიცხე აკადემიის გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტზე. ჩემი ხელმძღვანელი გახლდათ დავით კაკაბაძის მეუღლე, ეთერ ანდრონიკაშვილი, დიდებული თავადის ქალი და კიდევ უფრო დიდებული მხატვარი და განათლებული ქალბატონი. ბედის მადლიერი ვარ, რომ მასთან სახელოსნოშიც ხშირად ვიმყოფებოდი და ვტკბებოდი დავით კაკაბაძის ტილოებით. იგი გამოფენებს აწყობდა პარიზში. თუ ვინ მიმჩნდა კორიფეებად მხატვრობაში გეტყვით: გენიალური სერგო ქობულაძე, ლადო გუდიამშვილი, ელენე ახვლედიანი, კოკი მახარაძე, გივი თოიძე. გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი გახლდათ თუხარელი. ზემოთჩამოთვლილმა, თვალსაჩინო მოღვაწეებმა, ქართული სახვითი ხელოვნების დონე დიდ სიმაღლეებზე აიტანეს.

ლ. კ. რამდენადაც ვიცო, სტუდენტობის წლებშივე დაოჯახდით.

ბ. მ. დიახ, მე-4 კურსზე ვიყავი, როცა მომავალი მეუღლე გავიცანი — უკეთილშობილესი ოჯახის შვილი, თინა და მიხეილ აჯიამშვილების უფროსი ქალიშვილი, ციალა და ჩვენ დავოჯახდით. ციალა დაბადებულია თესოს სიკეთე ისევე როგორც, ცხონებული დედამისი.

ლ. კ. ქალბატონ ციალაზე ხშირად გვსმენია, „მიცვა-მადლის ქალიაო“.

ბ. მ. გეთანხმებით და მეამაყება. მე და ციალა, უკვე 50 წელზე მეტია სიყვარულითა და ურთიერთ პატივისცემით ვეზიდებით ცხოვრების ჭაპანს. მადლობა უფალს! ციალა ბიოლოგიურზე სწავლობდა და მე დიპლომზე ვმუშაობდა, როდესაც შეგვეძინა ერთადერთი ქალიშვილი, ნინო. სწორედ, ამ დროისათვის შევიძინეთ ბინა ოპერის უკან, ძნელად 36-ში, ცნობილი მომღერლის და ქალაქის კოლორიტის, ცინუკი დადიანისა და გუგა ანდრიაძის მონახვერედ. თითქმის ოთხი წელი გავატარეთ, როგორც ერთმა ოჯახმა. ვმართვადით პოეზიის საღამოებს, ხელოვანთა შეხვედრებს. პატარა ნინოს მთელი რუსთაველი იცნობდა, ძალიან ლამაზი ბავშვი იყო. ვატარებდი ლაღიმეში, სამხატვრო გალერეაში, მუზეუმში, ფოტოატელიეში, სალონებში და სხვა. ეს საუკეთესო წლები გახლდათ. ნინო ყოველთვის იყო ზედმინევიტ სერიოზული, წარჩინებული და სამაგალითო. ყველა აქებდა, ვიყავი მამა, რომელიც ყველაფერს აკეთებდა, რათა გაზრდილიყო ყოველმხრივ განვითარებული და კეთილი თვისებების მქონე. ვფიქრობ, ეს შევძელი. ნინომ ბრწყინვალედ დაამთავრა სკოლა, მიიღო მართვის უფლება და ამოვედით ისრაელში. ბინა გავყიდეთ და გამგზავრებამდე ვცხოვრობდით ციალას დის, გულიკოს და მისი მეუღლის, ცნობილი ექიმისა და უკეთილშობილესი ადამიანის, ზურაბ აჯიამშვილის ოჯახში.



ლ. კ. თბილისში სად მუშაობდით?
ბ. მ. ვმუშაობდი გაზეთ „მანის“ კორესპონდენტად (რედ. ბონდო ხუნდაძე). ვმონაწილეობდი ყოფილ ს.ს.რ.კ. რესპუბლიკებში გამართულ გამოფენებში. ისრაელიდანაც განვაგრძობდი გაზეთის სპეცკორად მუშაობას.

ლ. კ. თქვენ 90-იანების ალიას ეკუთვნით?

ბ. მ. დიახ, 1989 წლის დეკემბერში დავტოვეთ თბილისი. ასე მეგონა, ჩემს გვამს მისვენებდნენ, სოხუმთან და მითუმეტეს თბილისთან განშორება, სიცოცხლესთან განშორებას უფრო ჰგავდა. 21 მეგობარმა გამომაცილა მოსკოვამდე და თვითმფრინავში ასვლამდე მთხოვედნენ გადამეფიქრებინა წასვლა. ზოგი თავის ბინას მთავაზობდა, ზოგი აგარაკს და ზოგიც — რას. ეს მეტყველებს ქართველი ერის სიდიადეზე. ისრაელში ფეხის დადგმისთანავე, ვემთხვიე და ვაკოცე მიწას, რომლის ნატვრასა და ლოცვაში, სული დალიეს ჩვენმა წინაპრებმა. ვაკოცე, რადგან 26 საუკუნის ნანატრი ოცნების ახდენა, მხვდა წილად. ისე კი, პარადოქსია, რომ მსოფლიოს უდიდეს და ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ქვეყნებში ხალხი ჩადის, ხოლო ისრაელში, დედამიწის უმდაბლეს ნერტილში, ამოდის. მეამაყება ჩემი ებრაელობაც და ისრაელის მოქალაქეობაც. ისრაელში ამოსვლა იყო ტოლფასი ოდესღაც, უკუღმართი ვითარების გამო დაკარგული დედის პოვნისა.

ლ. კ. როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება წმინდა მიწაზე, იუცხოეთ აქაურობა?

ბ. მ. ჩვენთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, თუ რა მდგომარეობაში დავგვხვდებოდა ის, სუსტი, თუ ძლიერი, ჯანმრთელი, თუ ავადმყოფი, მდიდარი თუ ღარიბი. როგორც უკვე გითხარით, ის ჩვენი დედაა, ათასეული წლებით ნატანჯი და ფერფლიდან აღმდგარი, რომელიც გველოდა. აბსორბცია იყო რთული, რისთვისაც მზად აღმოვჩნდით. ვ 1990 წელს მიმინვიეს თელ-ავივის „გან ჰაირის“ მხატვართა გამოფენაზე, სადაც მსოფლიოში საკმაოდ ცნობილი მხატვრები მონაწილეობდნენ. შემდგომ „ბით ციონი ამერიკაში“ და სხვა გამოფენებზე წარვადგინე ჩემი ნამუშევრები. ნინომ დაიწყო მუშაობა ფარმაცევტულ კომპანიაში „რაპა“. გათხოვდა შესანიშნავ პიროვნებაზე, იცხაკ სეგევზე და შეხმატებილებულად ზრდიან სამ შვილს. უფროსი ვაჟი, ტომი უნივერსიტეტის სტუდენტია. 18 წლის გოგონა, შანი, ჯარისთვის ემზადება. მან გაიმარჯვა ბათუმის სიმღერის საერთაშორისო კონკურსზე „თეთრი თოლია“, იტალიის ქ. კალაბრიაში გამართულ კონკურსზე კი, „გრან პრი“ დაიმსახურა. უმცროსი, მაია 15 წლისაა, იგი ყოველწლიურად ჯილდოვდება სასკოლო და სრუ-

ლიად ისრაელის ოლიმპიადების სიგელებით. ამაზე მეტი რა უნდა ვინატრო. მოკლედ, მე უბედნიერესი მეუღლე, მამა და ბაბუა ვარ. დიდად მადლობელი ვარ განგების.

ლ. კ. დღევანდელი გადასახედიდან, რას ეტყოდით დღეს ოცი წლის ბენი მირილაშვილს, როგორ დაარიგებდით?

ბ. მ. საინტერესოა, ალბათ იგივეს, რასაც ჩემს შვილიშვილ ტომის, რომელსაც უკვე უამრავი ქვეყანა აქვს მოვლილი, მე კი, პირველად 16 წლის ასაკში გავცდი სოხუმს, ისიც ფეხბურთის გუნდთან ერთად წავედი თბილისში. პირველად ვიმგზავრე თვითმფრინავით, ტრამვითა და ტროლეიბუსით. ეს ჩემთვის სიზმარს უდრიდა — ტრამვი მხოლოდ ნიგში გვენახა. სად იყო ტელევიზია, ინტერნეტი, აიფონი, ფეისბუქი. თბილისიდან ჩამოსული, კლასელებს ტრამვის ბილეთს ვუჩვენებდი „აი, რითი ვიმგზავრე!“. ასე, რომ ვურჩევდი როგორც 20 წლის ბენის, ასევე ჩემს ტომის: მაქსიმალურად დაიცვან ათი მცნება და სადაც გაივლიან, ისეთი კვალი დატოვონ, რომ უკან დაბრუნებისას არ ეთაკილებოდეთ.

ლ. კ. მქონდა ბედნიერება, თქვენს გამოფენას იაფოს გალერეაში, მე გავძლოდი. თქვენი ლექსებიც წამიკითხავს. სპეციალისტების აზრით, მხატვრობა არის სიტყვის, მელოდიის, აზრისა და გრძნობის გადატანა ტილოზე. თქვენი ფუნჯი და კალამი რას უფრო გამოხატავს?

ბ. მ. რა გითხრათ: თავს დიდ პოეტად არა ვთვლი, ფუნჯითაც კალმითაც ადამიანის ირგვლივ ვტრიალებ და ჩემს ნამუშევრებში ჩემი გრძნობები ამოკითხება, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, რომ ოთხ სტრიქონში ჩამიტყვია მთელი დიდი ტილოს შინაარსი.

ლ. კ. მხურვალე, იმპულსური გული და ცივი, პრაგმატული გონება იდილიაში არიან თუ მუდმივჭიდილში?

ბ. მ. ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ და როგორც ყველა, მეც ხან ერთის კარნახს მივყურადებ, ხან — მეორესას. ისე კი, გულის გარეშე, გონება მშრალი ფანტაზიაა, ხოლო გული ფანტაზიის გარეშე, ამოუფრქვეველი ვულკანი.

ლ. კ. ჩვენ ერთი თაობის წარმომადგენლები ვართ. ყელ-კისერმოხატული ახალგაზრდობა უზნეობის განსახიერებად მიგაჩნიათ, თუ როგორც ისრაელის მაგალითზე ვხედავთ, ისინი ჯარის გმირებიც არიან ხოლმე.

ბ. მ. არა ვარ წინააღმდეგი რაიმე სიახლისა, ინოვაციისა, მაგრამ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. თუმცა, ისიც ხომ ვიცით, რომ მსოფლიო ტექნოლოგიური მიღწევები მათ ანგარიშზეა.

ლ. კ. ამბობენ, ფიროსმანს შავი ფერი არ უყვარდაო. მის ნახატებში სხვა ფერები უფრო სჭარბობს. თქვენ თუ გაქვთ მეტ-ნაკლებად საყვარელი ფერები?

ბ. მ. ნიკალას ტილოებში მაინც შეიმჩნევა შავი ფერი, რამეთუ ყველა ფერს, მკრთალსა, თუ ნათელს, თავისი ხიბლი, ადგილი და დანიშნულება გააჩნია. მთავარი ისაა, თუ როგორ იყენებს ესა თუ ის ხელოვანი. მე არც ერთ ფერთან არა ვარ მწყრალად. არის მექოთნე, რომელიც უფასური თინისგან ქმნის მსოფლიო შედევრს და არის ისეთიც, რომელიც ოქროს ზოდისგან თიხის საფასურსაც კი ვერ ქმნის. დღევანდელი პადემიის პირობებში გამახსენდა, რაც შეხვება ჩემს შემოქმედებას, არასოდეს მქონია სურვილი მათი გამომზეურებისა, არ მინატრია დაფნის გვირგვინი და არც — დიდება. მე ვარ მხატვარი, უზომოდ მიყვარს პოეზია, ფერწერა და ბეთჰოვენის „მთვარის სონატა“.

ლია კრიხელი
ისრაელი 2020 ოქტომბერი

P. S ბატონი ბენი მირელი წერდა სხვადასხვა თემაზე: იუდაიზმი, ისტორია, სიყვარული, რეალური ცხოვრება, რომელთაც გადმოგვცემდა უბრალოდ, ლიმიტით, ირონიით, ნოსტალგიით და მისებური ხიბლით. არც პორტრეტები იყო იშვიათი მის შემოქმედებაში. თვალსაჩინოებისთვის „ნიკო ფიროსმანი“ იკმარებდა. საქართველოსა და ისრაელის პეიზაჟებიც პოულობდნენ ადგილს ბატონი ბენის ტილოებში და ყველაფერში სიყვარულია ჩაქსოვილი. მისი ნიჭი არაერთხელ აღნიშნულა ისრაელის ტელევიზიასა და პრესაში. 1990–2018 წლებში გახლდათ მთავარი კოლორისტი და განყოფილების გამგე ტექსტილის წარმოებაში. ქსოვილების ნახატების უბაღლო ოსტატად იყო აღიარებული.

სამძიმარზე მისულს, მისი ახალი ნახატი მაჩვენეს, რომელსაც მხოლოდ ავტორის ხელმოწერა აკლია. ვაგლახ, რომ ვერ მოასწრო. ვერც ამ ინტერვიუს გამოქვეყნებას. მოესწრო. კიდევ ერთხელ ვიხიდი ბოდიშს მის წინაშე.

ლ. კ. ისრაელი 2021, თებერვალი

რას ვპითხვართ ამ კვირაში? რაბინის კუთხე



აპარონ მდინარაძე

ფესახის შემომაველი დღე — შაბათი

დრო მოცემულია თბილისისთვის

შაბათ ჰაგადოლის (დიდი შაბათი) დარაში უნდა გადმოვიტანოთ 7 ნისანის შაბათს - 2021 წელს 20 მარტი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ფესახის შემომაველ დღესაც (შაბათს), საღამოს უამს უნდა დაისაუბრონ ევგვიპტიდან გამოსვლაზე.

ფესახის შემომაველი დღეს, რომელიც მოხვდა შაბათს, ვაკეთებთ "ბედიკათ ხამეც"-ს ხუთ-შაბათ ღამეს, სანთლის შუქზე უნდა მოიძებნოს. ვაკურთხებთ მოძებნის წინ, როგორც ყოველ წელიწადს და შემდეგ ვამბობთ გაბათილების სიტყვებს, როგორც ყოველთვის. უნდა გაფრთხილდეთ ძალიან, რომ ხამეცი რომელიც უნდა ჭამოთ პარასკევს და შაბათს, კარგად შეინახოთ მისთვის განკუთვნილ კუთხეში. ფესახის შემომაველი დღეს, რომელიც მოხვდა შაბათს თორის დინით,

ბეხორები (პირველშობილი ვაჟი) არ არიან ვალდებული იმარხულონ, მარხვა გადადის ხუთ-შაბათს 25 მარტს, მაგრამ თუ აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ გემარის ტრაქტატის დამთავრების, ან ბრითის, ან "ფიდონ ჰაბენ"-ის, ან ხათან ქალის სუფრაზე, ძალიან კარგია. მამა, რომელიც ყოველ წელიწადს მარხულობს შვილის მაგივრად, სანამ ბიჭი გაიზრდებოდეს, ამ წელიწადს მარხულობდნენ თავისუფალია. წელს უფროსი ქალიშვილებიც არ არიან ვალდებული მონაწილეობა მიიღონ მიცვის სუფრაზე.

იმის მიუხედავად, რომ პარასკევს 13 ნისანს შეიძლება იჭამოს ხამეცი მთელი დღე, კარგია ხამეცი დაეწვას ამ დღეს ე.ი. -თბილისში 26 მარტის 11:46 წუთამდე და დაიჭოვოს იმდენი საჭმელი, რომ ეყოს შაბათ ღამისა და შაბათ დილისთვის. არ არის საჭირო, ხამეცის გაბათილება ხელმეორედ ხამეცის გაბათილების საათზე. საკმარისია გაბათილოს შაბათ დილით, სანამ დადგება ხამეცის აკრძალვის საათი. შაბათისთვის არ ამზადებენ ხამეც საჭმელს, რომლებიც ეკრობიან ჭურჭელს, როგორცაა მანანას ბურღულის ფაფა, რომ არ გახდნენ იძულებული შაბათს ტრაპეზის შემდეგ გარეცხონ ქვაბები.

სალაის ფოთლები, რომლითაც ფესახის ღამეს მარორის ჭამის მიცვიდან გამოვიდვართ, საჭიროა პარასკევს კარგად გაისინჯოს და სველად შეინახონ მაგივრად, რომ არ დაჭკენს, მაგრამ არ ჩადოს წყალში პარასკევიდან.

შაბათ დილით წამოდგეს დილით ადრე, რომ ილოცოს შვის ამოსვლაზე, და არ გააგრძელონ ლოცვა, ასევე დამატებით არ აიყვანონ ხალხი სეფერ თორაზე. მხოლოდ შვიდი კაცი, რომ მოასწრონ ჭამა ხამეცის აკრძალვის დრომდე -27 მარტი 10:26ნ-მდე თუ ეს არა რის შესაძლებელი, ნახეთ პუნქტი 10

გაფრთხილდნენ: სადილის დროს არ გაიბნეს ხამეცის ნამცეცები და სადილის დამთავრების შემდეგ მყისვე შეინახოს ჭურჭელი განკუთვნილ ადგილზე და გაასუფთავოს სუფრის საფარებელი ნამცეცებისაგან სანაგვეში და შეინახოს ხამეცის ჭურჭელთან ერთად. თუ დარჩა პურის ნაჭრები დააფშვინოს ისე, რომ არ დარჩეს თითოეულ ნამცეცში ქაზაითზე (27 გრამი) მეტი და აჩუქოს არაებრაელს ხამეცის გაბათილების დრომდე ან შეინახოს ცალკე გამოყოფილ ადგილზე და დაწვას ხოლ-ჰა-მოყვდში.

ასევე უნდა დახვეტოს იატაკი, რომ არ დარჩეს ოდნავი ხამეცის ნამცეცები კი, და დაიბანოს კარგად ხელები, ასევე გამოიბანოს კარგად პირი, რომ არ დარჩეს ხამეცი კბილებში. კარგია თუ გაინმინდავს კბილებს ჩხირით, მაგრამ უნდა გაუფრთხ-

ილდეს სისხლი არ გამოიღინოს. ხოლო ვისაც პროტეზის კბილები აქვს, საკმარისია კარგად განმინდოს და გააელოს ცხელ წყალში, რომელიც ჭიქაში იყო. სადილის მერე გააბათილოს ხამეცი, როგორც ყოველ წელიწადს აკეთებს.

მაცის ჭამა შაბათს ფესახის შემომაველ დღეს იკრძალება მხოლოდ დღისით, შაბათ ღამით კი შეიძლება მაცის მირთმევა. ასევე შეიძლება "მაცა ყაშირა"-სი (მაცის ფქვილისაგან დამზადებული ნამცხვარი, ანდა საფესახოდ ქაშერი ფქვილისაგან დამზადებული ნამცხვარი, რომელიც მოიზილა ხილის წვენი და შაქრით მხოლოდ).

შეიძლება მოხარშული მაცის მირთმევა ფესახის შემომაველ დღეს და ასევე შეიძლება იჭამოს შემწვარი (როგორც ჩიპსი, რომ დაიფაროს მთლიანად ზეთით) მაცა.

იმისათვის, რომ სახლში ხამეცი არ შემორჩეს და არ გაჩნდეს ხამეცის აკრძალვის სამიშროებაში, კარგი იქნება პარასკევს დაწვას მთელი ხამეცი და შეინახოს ჭურჭელი მისთვის განკუთვნილ ადგილზე, როგორც ყოველ წელს. ხოლო შაბათის აუცილებელი სუფრები გააკეთოს შემწვარ ან მოხარშულ მთლიან მაცებზე და აკურთხებს - "... ჰამოცი ლეხემ მინ ჰაარეც". და თუ ასე აკეთებს ხამეცი უნდა დაწვას პარასკევს ხამეცის დანვის საათზე.

სასურველია გაკეთდეს მესამე სეყუდა შაბათს მოხარშულ მაცაზე და ის უნდა გაკეთდეს არა უგვიანეს ცხრა საათისა გამთენიიდან -16-30-მდე, რომ ჭამოს მაცა ფესახის ღამეს დიდი აპეტიტით. მაგრამ, თუ დაავიანდა მესამე სეყუდის გაკეთება, შეუძლია გააკეთოს - 18-06ს- მდე, მხოლოდ გაუფრთხილდეს შეჭამოს არაუმეტეს 50 გრამისა. თუ უნდა გააკეთოს მესამე სეყუდა ნამცხვრით (როგორც ზემოთ ვახსენეთ), მაშინ აკურთხებს მეზონოს და ბოლოს "ყალ ჰამეხია"-ას.

არ შეიძლება მაცის განძრევა შაბათს, რადგანაც ითვლება მუქცედ (მუქცე - ის, რაც შაბათს არ გჭირდება) და ყოველივე ეს ეხება მაცას, რომელიც გადადებულია ფესახის ღამისთვის, მაგრამ მაცა, რომელიც პატარა ბავშვების საჭმელადაა, რომლებიც ვერ იგებენ ევგვიპტიდან გამოსვლის მოთხოვნას, ასეთი მაცის გადაადგილება შეიძლება. და ასევე შეიძლება ვინმართ მოხარშული და შემწვარი მაცა როგორც "ლეხემ მიშნე" (ორმაგი პური).

შაბათის გასვლამდე არ შეიძლება გავშალოთ ფესახის ავადის სუფრა, მხოლოდ შაბათის გასვლის შემდეგ.

ფესახ ქაშერ ვე სამეხს!

აქტუალური პარალელები

მარინა ბუზუკაშვილი

დღეს, როცა ჩვენში ესოდენ აქტუალურია ხელისუფლებისაგან სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხი, ამ კონტექსტში ერთგვარი ისტორიული პარალელის სახით ქართულ სასამართლოსთან კავკასიის მთავარმმართველ ვორონცოვის შეხების ერთ ფაქტს მოვიხმობ, რომელიც, თავის მხრივ, კიდევ ერთი პარალელითაც არის ნიშანდობლივი. კერძოდ, საქართველოში წარმოებულ სასამართლო პროცესში გავლენიანი უცხოელი ლიდერის ჩარევით: ოლონდ, ჩვენი დღევანდელი სასამართლოსაგან განსხვავებით — უშედეგო ჩარევით.

თუმცა, მანამდე აღვნიშნავ, რომ გრაფი ვორონცოვი (1782-1856) რუსეთის იმპერიის ჩინთა შორის ერთ-ერთი ყველაზე საღად მოაზროვნე გახლდათ და მის საქმიანობას პროგრესული გამოარჩევდა. ამ თვალსაზრისით, მისი ჩინოვნიკური პრაქტიკა თითქმის ყველგან, სადაც კი ის მსახურობდა, მეტად ნაყოფიერი იყო. ვორონცოვის საქმიანობის პოზიტიურ რეზულტატთა აქტივში ებრაელთა მიმართ მისი კეთილგანწყობაც არის. მაგალითად, რუსეთთან ახლადმიერთებულ სამხრეთ რეგიონში ანუ ნოვოროსიისკის მხარეში, ებრაელობას იგი ხელს უწყობდა ვაჭრობასა და ხელოსნობაში. ვორონცოვის დროს ოდესაში შეწყდა ებრაელთა „პოგრომები“ — დარბევები. გარდა ამისა, რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი მწვავე პრობლემა გახლდათ ებრაელთა განსახლების საკითხი: მათთვის მკაცრად დადგენილი იყო ე. წ. „Черты оседлости“, რომელთა მიღმაც ებრაელებს ცხოვრება ეკრძალებოდათ. ეს ტერიტორიები ძირითადად პერიფერიებში მოიაზრებოდა. თუმცა, თბილისში მისი ცხრანლიანი დისლოცირების პერიოდში ვორონცოვი ებრაელებს ცენტრალურ უბნებში უვადოდ დასახლების ნებას რთავდა, რასაც სპეციალურად გაცემული ოფიციალური სიგელებით ადასტურებდა.

რაც შეეხება წერილის დასაწყისში დაანონსებულ თემას: მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენში ადგილი ჰქონდა ე. წ. „სისხლის შარის“ სამწუხარო პროცესებს, რომლის დროსაც ებრაელებს, თითქოსდა, რიტუალური მიზნით, ქრისტიანი ბავშვების გატაცება ბრალდებოდათ. ამ თემას შულის ჩამომგდები პროვოკაციული ელემენტები აღვივებდნენ. აღნიშნული ელემენტები, სარგებლობდნენ რა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ებრაულ ადათ-წესებში გაუთვითცნობიერებლობით, უბედურ შემთხვევათა შედეგად დაღუპულ ქრისტიან ბავშვებს ებრაული პასეჟი (ფესახის) დღესასწაულს უკავშირებდნენ იმ მოტივით, რომ თითქოსდა იუდეველები ქრისტიანი ბავშვების სისხლს ხშიადის (მაცის) ცომში ურევდნენ (არადა, იუდეველებს რელიგია კატეგორიულად უკრძალავს საკვებში სისხლის შემთხვევით მოხვედრასაც კი, რასაც თვით ბიბლია — მოსეს ხუთნიგნეულიც ადასტურებს. ამ მკაცრ წესს ებრაელები დღემდე იცავენ: საქონლისა და ქათმის ხორცს კერძის მომზადებამდე სპეციფიკური ჰიგიენური მეთოდით ამუშავებენ — სისხლისაგან სცლიან).

რიტუალური პროცესებიდან ყველაზე რეზონანსული გახლდათ ე. წ. სურამის პროცესი (1850 წ.) და ქუთაისის პროცესი (1879 წ.). თუმცა, შიგადაშიგ ამ კონტექსტში სხვა შემთხვევებიც იყო. აღნიშნულ პროცესებს ეხმაურებოდა როგორც ქართული („ივერია“, „დროება“), ისე საზღვარგარეთული პრესა „The Jewish Chronicle“, „Allgemeine Zeitung des Judentums“ და სხვა. ამ ყოველად საზარელ და ამაზრუნ დანაშაულში ბრალდებულ ებრაელებს აპატიმრებდნენ და მათი საქმეები სასამართლოს გადაეცემოდა.

აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებით, კერძოდ, 1851 წლის 6 მარტს მეფისნაცვალ ვორონცოვს ლონდონიდან წერილით მომართა ცნობილი ინგლისელი პა ფილანტროპმა და ევროპაში უგავლენიანესმა პერსონამ სერ მონტეფიორემ. მისი წერილის ინგლისური დედანი შემოინახულ იქნა ვორონცოვის არქივში, რომლის დეტალურად თარგმნილი ასლიც ისააკ ჩორნიმ გამოაქვეყნა გაზეთში „День“ (1971 წ. 5, გვ. 75).

როცა ამ წერილს იცხაკ დავიდის მიერ თელ-ავივში გამოცემული ფუნდამენტური რუსულენოვანი ნაშრომის („ებრაელთა ისტორია კავკასიაში“) მეორე ტომში გავეცანი, გამოცა აღნიშნული წერილის ავტორის თავაზიანმა, დახვეწილმა და უკიდურესად კულტურულმა ტონმა. მასში არავითარი ზენოლა, ანდა პროცესში ჩარევის მცდელობა არ იკრძაობა. უბრალოდ, ეს გახლავთ მონიშნული თხოვნა საქმის ობიექტური გამოძიებისა და წარმართვის თაობაზე. ამავე წერილს ციტირებს თელ-ავივში ნიგნად გამოცემულ რუსულენოვან ნაშრომში („საქართველოს ებრაელები“) პროფესორი კონსტანტინე ლერნერიც (სხვათა შორის, მონტეფიორემ მეორე წერილიც გამოგზავნა, რითაც მან ქართულ ებრაელ თემს უთანაგრძნო და ანუგეშა).

საინტერესოა, თუ როგორ მიანვიდინეს სურამელმა ებრაელებმა ხმა ესოდენ წარჩინებულ და გავლენიან ფიგურას, როგორც მონტეფიორე იყო. საქმე ის გახლავთ, რომ მათ დასახმარებლად მიმართეს სტამბოლის ებრაელთა თემს. სტამბოლიდან კი შეტყობინება გადაუგზავნეს ლონდონში მოზეს მონტეფიორეს. თავის მხრივ, მონტეფიორე დაუკავშირდა რუსეთის იმპერიის ელჩს ლონდონში, ელჩმა კი მონტეფიორეს წერილი მეფისნაცვალ ვორონცოვს თბილისში გამოუგზავნა.

როგორც კონსტანტინე ლერნერი აღნიშნავს, პროცესი სასამართლო ხელისუფლების იურისდიქციაში იმყოფებოდა და მეფისნაცვალ ვორონცოვი ფორმალურად ვერ ჩაერეოდა სასამართლოს საქმიანობაში. თუმცა, კავკასიის მთავარმმართველმა მაინც საჭიროდ ჩათვალა მიემართა სასამართლოსთვის თხოვნით: ყურადღებით გარკვეულიყვნენ საქმის ვი-



